სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №5

ბათუმი 31 დეკემბერი 2014წ.

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქ.ბათუმის კულტურის ცენტრი (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის ჯონი საბაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,კულტურის ცენტრი ჰარმონია" წარმოდგენილი დირექტორის კ. ფირცხალაიშვილის სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 2015 წლის 4 იანვარს ქ.ბათუმში ევროპის მოედანზე საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში საბავშვო საკონცერტო ნომრების წარმოდგენა (cpv-92300000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1500 (ერთიათასხუთასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 მომსახურება ან მისი ნაწილი შესრულებულად ჩაითვლება შესაბამისი ,,მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისაგან შესრულებულ სამუშაოზე.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების გაწევის დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ბათუმის კულტურის ცენტრის დირექტორი ჯ. საბაშვილი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით
დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაშიმეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. დაუძლეველი ძალა

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

8.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი
ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. მომსახურების გაწევის და ხელშეკრულების მოქმედების ვადა
10.1 მომსახურების გაწევის ვდაა 2015 წლის 3 იანვარი.
10.2 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 3 თებერვლამდე.

,,შემსყიდველი"

ქ.,,ბათუმის კულტურის ცენტრი"

სს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE80LB0115153003494000
ს/კ 245612109
მის.გრიბოედოვისქ.#1/ რუსთაველის ქ. #53

დირექტორი ჯ. საბაშვილი

,,მიმწოდებელი"

შპს ,,კულტურის ცენტრი ჰარმონია"

სს ,,პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი BIBGGE22
ანგ.№ GE14 PC00 3360 0100 0294 21
საიდენტიფიკაციო კოდი 245443970
მისამართი ქ. ბათუმი ბარათაშვილის ქ.№29
ტელ:

დირექტორი კ. ფირცხალაიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი

4 იანვარი 2015 წ.

ჩვენ, ერთის მხრივ ააიპ ქ. ,,ბათუმის კულტურის ცენტრი'' წარმოდგენილი დირექტორის ჯ. საბაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,კულტურის ცენტრი ჰარმონია" წარმოდგენილი დირექტორის კ. ფირცხალაიშვილის სახით ვაფორმებთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ 2014 წლის 31 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულება №5 საფუძველზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შპს ,,კულტურის ცენტრი ჰარმონია"-ს მიერ ,საახალწლო დღესასწაულის ფარგლებში, ერას მოედანზე გამართულ კონცერტებზე წარმოდგენილი იქნა საკონცერტო ნომრები, რომლის მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 1500 (ერთიათასხუთასი) ლარი.

რასაც ვადასტურებთ და ვაწერთ ხელს:

ჩააბარა: კ. ფირცხალაიშვილი

ჩაიბარა: ჯ. საბაშვილი